თბილსერვის ჯგუფი

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ "TBILSERVICE GROUP" LTD

ბრძანება № 01953

30 სექტემბერი 2015

ქ. თბილისის მთავრობის 2013 წლის 31 მაისის №17.48.668 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე–8 თავის 8.3 პუნქტის „დ“ და “ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსს მიენიჭოს უფლებამოსილება კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს სახელით დადებულ ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე ნარჩენების განადგურება-დამარხვის შესახებ ხელშეკრულებებს და ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტებს;
2. შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში, აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება განახორციელოს სამსახურის უფროსის მოადგილემ;
3. ბრძანების გაცნობა დაევალოს შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს ადმინისტრაციულ სამსახურს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი XII კმ. №6).

დირექტორის მ/შ /ლევან ჯღარკავა/

მის: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67
ტელ. 261-18-32 E-mail: tbilservicegroupltd@gmail.com

adress: Tbilisi, Kakheti Highway №67
TEL: 261-18-32 E-mail: tbilservicegroupltd@gmail.com